გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიში

სკოლა	**მედიცინის სკოლა**
საგანმანათლებლო პროგრამა	**მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)**
პროგრამის ხელმძღვანელი	**ზაზა ბერიშვილი**
სასწ. წელი/სემესტრი	**2020-2021 ს/წ საგაზაფხულო სემესტრი**

რამდენი პერსონალის თვითშეფასება იქნა წარმოდგენილი/გაანალიზებული (რამდენად გულწრფელად/რეალისტურად შეიძლება ჩაითვალოს პასუხები; შედარდა თუ არა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებთან)	წარმოდგენილი იქნა 93 სასწავლო კურსის აკადემიური პერსონალის თვითშეფასება, ასევე, ჩატარდა სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა. ერთმანეთთან შედარდა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და პერსონალის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები, პასუხები შეიძლება ჩაითვალოს რეალისტურად, რადგან სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებსა და პერსონალის თვითშეფასების ანგარიშებს შორის წინააღმდეგობა არ შეინიშნება.
რა ცვლილებების შეტანა მიიჩნევა საგანმანათლებლო პროგრამაში, სასწავლო კურსის შინაარსსა და მეთოდოლოგიაში (ტენდენცია და სასწავლო კურსის და პერსონალის მინიშნებით. შედარება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებთან)	გამოკითხვის შედეგებით, ამ ეტაპზე, ცალკეულ დისციპლინებში გარკვეული ცვლილების შეტანას გეგმავს გამოკითხული პერსონალის 6.4 პროცენტი, თუმცა ეს არ გულისხმობს არსებით ცვლილებებს, შესაბამისად არ იგეგმება ცვლილებები პროგრამის საერთო შინაარსობრივ სტრუქტურაში. ამ მიდგომას ამართლებს, არა მარტო სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, არამედ ისიც, რომ პროგრამის 2020 წლის კურსდამთავრებულთა 94.75 პროცენტმა პირველივე გასვლით წარმატებით ჩააბარა სალიცენზიო გამოცდა საკუთარ ქვეყანაში, რაზეც თავად სტუდენტთა გამოხმაურებებიც მეტყველებს. ცვლილებები ძირითადად ეხება საკონტაქტო საათების გაზრდას - განპირობებული კოვიდმდგომარეობით (სტუდენტთა ავადმყოფობის გამო ხდება მათი პროგრამული ჩამორჩენა) და, ზოგჯერ, სტუდენტების დაბალსიჩქარიანი ინტერნეტით, რაც ერთეულ შემთხვევაში აფერხებს

	მეცადინეობის მიმდინარეობას (ჯიქურაშვილი, ძნელაძე, ყულიაშვილი, ვაშაკიძე, დონაძე). ლექტორთა ერთი ნაწილს მიაჩნია, რომ დასახვეწია მასალის მოცულობა/თემატიკა (ჩარკვიანი) და შეფასების მეთოდები (ჩაჩუა). პროფესორი ნინო ფიფია გეგმავს 11 სალექციო საათის ნაცვლად 14 საათი გამოყოფას. პროფესორი გაუარაშვილი მიიჩნევს, რომ ნევროლოგიის კლინიკური პრაქტიკის დრო გასაზრდელია, ხოლო სწავლა-სწავლებისა მეთოდები და თემატიკა უფრო ოპტიმალური უნდა იყოს. სასწავლო დროის ოპტიმიზაციაზე ყურადღებას ამახვილებენ პროფესორები - კერვალიშვილი, კოპტონაშვილი. აღსანიშნავია სტუდენტთა დამოკიდებულება სასწავლო დროის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით ისინი არ გამოთქვამენ შენიშვნებს, თუმცა სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებას აფასებენ შედარებით დაბალი ქულებით, ზოგიერთი დისციპლინის ფარგლებში. მაგ.: ფიზიოლოგია (ძნელაძე), ჯანდაცვის ხელშეწყობა (გერზმავა), ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია (ნებიერიძე), სამეცნიერო კვლევა (პეტრიაშვილი). **რეკომენდაცია:** 1. მიეცეს საშუალება ცალკეული დისციპლინის პერსონალს ჩაატარონ დამატებითი მეცადინეობები სტუდენტთათვის. 2. მიზან შეწონილად ჩაითვალოს შესწორებების შეტანა წარმოდგენილი დისციპლინების სილაბუსში. 3. დასაშვებად ჩაითვალოს ნევროლოგიის პრაქტიკული კომპონენტისათვის საათების გაზრდა.

	4. გაანალიზდეს წარმოდგენილი სასწავლო პროგრამების თემატიკა და სწავლა-სწავლების მეთოდები და განისაზღვროს საათების მოცულობის ცვლილების საჭიროება.
უზრუნველყოფილია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა/სასწავლო კურსი სასწავლო რესურსებით (მიეთითოს ხარვეზი. შედარება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებთან)	აღნიშნავია, რომ ტექნიკურ რესურსთან დაკავშირებულ ხარვეზები (რაც ონლაინ პლატფორმას ეხებოდა), წელს პრაქტიკულად აღმოიფხვრა, ვინაიდან უნივერსიტეტმა შეიძინა zoom-ის რესურსი და იყენებს, აგრეთვე, google meet-ს და JT პლატფორმებს, სხვა საკითხია - ცალკეულ შემთხვევაში სტუდენტთა დაბალი სიხშირის ინტერნეტი, რომელიც, პერსონალის თქმით, მეტ-ნაკლებად აფერხებს სასწავლო პროცესს. სასწავლო რესურსი, ლექტორთა და სტუდენტთა გამოკითხვით შეესაბამება პროგრამულ მოთხოვნებს, ყველა დისციპლინა უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით, თუმცა პერსონალის 6.45 პროცენტი გარკვეულ მოსაზრებებას გამოთქვამს. კერძოდ, პროფესორი არზუმელაშვილი (დერმატოლოგია, ვენეროლოგია), აღნიშნავს, რომ *დერმატოლოგიის სახელმძღვანელო რომლითაც ისწავლება საგანი, სამწუხაროდ არ შეიცავს ფოტო მასალას, სასურველი იქნებოდა, ქონოდა უნივერსიტეტს სრულ ონლაინ წიგნზე წვდომა. მე დამატებით ვაზიარებ წიგნს, რომელიც დერმატოლოგიის ატლასია, თუმცა ეს პროგრამით გათვალისწინებული არაა.* პროფესორი ფატი გაბუნია კი აღნიშნავს, რომ ნექსუსის პლატფორმაზე არ იძებნებოდა სახელმძღვანელო ინფექციურ სნეულებებში (გაბუნია). სტუდენტები, საშუალოდ, 4,3 ქულით აფასებენ სასწავლო რესურსის გამოყენებას, თუმცა არის 4 ქულაზე ნაკლები შეფასება ზოგიერთი დისციპლინის ფარგლებში. დომინირებს *ნექსუსზე* მასალის დაგვიანებით ატვირთვის საკითხი. ასეთი

	შენიშვნები გამოვლინდა ისეთი დისციპლინის ფარგლებში, როგორიცაა: *ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, სამეცნიერო კვლევა, უჯრედული ბიოლოგია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ჯანდაცვის ხელშეწყობა, ბიოქიმიის საფუძვლები, კარდიოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია, ქცევათმეცნიერება, პათოლოგია.* აღსანიშნავია, რომ პროგრამა სრულადაა უზრუნველყოფილი სიმულაციური და ლაბორატორიული რესურსით. უნივერსიტეტმა, 2019 წლის შემდეგ, დამატებით შეიძინა 101 971 ლარის ახალი ერთეულები. ამავე დროს, დამატებით გაფორმდა ხელშეკრულება 4 კლინიკასთან. ჰიბრიდული სწავლების სისტემამ საშუალება მისცა პროგრამას, ონლაინთან ერთად, საკონტაქტო ფორმატით წარემართა სწავლა-სწავლების პროცესი და პრაქტიკული კომპონენტი დაგეგმილ დროს სრულად განეხორციელებინა, თუმცა ზოგ შემთხვევაში ვერ მოხერხდა პრაქტიკულის სწავლების სრულად განხორციელება. **რეკომენდაცია:** **1.** უნივერსიტეტმა კვლავ მისცეს საშუალება სტუდენტებს, ინტერნეტისა თუ კომპიუტერული ტექნიკის არ არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის კომპიუტერული პარკით ესარგებლონ ან დროებით სარგებლობაში მიეღონ ლეპტოპი. **2.** დაისვას საკითხი ბიბლიოთეკის წინაშე დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის დისციპლინისთვის შესაბამისი ატლასის შეძენისა და ნექსუსზე ატვირთვის თაობაზე. **3.** გასათვალისწინებელია, რომ ინფექციურ სნეულებების ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ნექსუსზე მოუძიებლობა განპირობებული იყო ტექნიკური ხარვეზით, რაც უკვე აღმოფხვრილია. **4.** გამოკითხვის შედეგებით გამოვლენილი შეფერხებები ნექსუსზე მასალის ატვირთვის დაგვიანების შესახებ უნდა იქნას მიღებული სიგნალად და მოეთხოვოს პერსონალს მომავალში არ დაუშვას ანალოგიური პრეცენდენტები.

	5. გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი პრაქტიკული კომპონენტების ის ნაწილი, რომელიც ხარვეზებით იქნა გავლილი პანდემიის გამო - სრულად განხორციელდა ივლისის თვეში.
რა ტენდენცია შეინიშნება სტუდენტთა აქტივობისა და ეფექტიანობის მიმართულებით (გამორჩეული შეფასებების დაკონკრეტებით. შედარება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებთან)	პერსონალის 17.2 პროცენტის შეფასებით ზოგიერთი დისციპლინის ფარგლებში შედარებით დაბალია სტუდენტთა აქტივობა/დასწრება ან მოტივაციის დონე. ნიშანდობლივია პროფესორ ანა არჩვაძის მოსაზრება სტუდენტთა აქტივობის გაზრდასთან დაკავშირებით: *განსაკუთრებით აღვნიშნავ სტუდენტების დაბნეულობას სწავლის პროცესში დაბალი მოტივაციისა, თუ საკუთარი მიზნების გაუაზრებლობის გამო. ვფიქრობ, კარგი იქნება თუ, მაღალ კურსებზე სტუდენტებს ჩავუტარებთ გამოკითხვას, როგორ გამოიყენებენ მიღებულ ცოდნას. ასევე, სასწავლო პროგრამაში შევიტანთ სპეციალურ ნაწილს, სადაც სტუდენტებთან ერთად ვისაუბრებთ ამა თუ იმ საგნის პრაქტიკული გამოყენების საკითხებზე.* პერსონალის ერთი ნაწილი სტუდენტთა დაბალი აქტივობის მიზეზად პანდემიურ მდგომარეობას თვლის, რის გამოც პროგრამა, ძირითადად, ონლაინ ფორმატით ისწავლება. ამას ადასტურებს სტუდენტთა გამოკითხვაც, რომლის მიხედვითაც სტუდენტები პირდაპირ სთხოვენ უნივერსიტეტს ჩაატარონ სხვადასხვა ღონისძიება სტუდენტთა მონაწილეობით. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით იკვეთება, რომ ისინი პროგრამის ძლიერ მხარედ თვლიან შეფასების სისტემას, კრიტერიუმებს; მაღალკვალიფიციურ პერსონალს და სწავლების მაღალ ხარისხს. საერთო ტენდენციას გამოხატავს ზოგიერთი გამონათქვამი:

უნივერსიტეტის ძლიერი მხარე არის პერსონალი და პერსონალი. ძალიან კარგი გადაყოლილი, ისინი გვეხმარებიან ყველა სიტუაციაში.

რაიმე პრობლემის არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი დაუყოვნებლივ იღებს ზომებს.

უნივერსიტეტში არის ბევრი ძალიან კარგი და ძალიან სასარგებლო პროფესორი, რომლებსაც ესმით სტუდენტების. ***უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ საავადმყოფოს კლინიკურ ცოდნის კონკრეტულ კურსებში*** *სტუდენტების ინტერესების შესაბამისად.*

საუნივერსიტეტო სწავლის პროცესმა გამოიწვია სტუდენტების პოზიტიური დამოკიდებულება სწავლის მიმართ. *როგორც ყოველი სემესტრის გავლის დროს უნივერსიტეტი ცდილობს უკეთ და უკეთ მოაწყოს საქმეები.* ***მიუხედავად იმისა, რომ კურსი არის ონლაინ უნივერსიტეტმა დაამტკიცა, რომ მათ შეუძლიათ კონკრეტული კურსის ცოდნის მიწოდება, როგორც ოფლაინ პროცესის ტოლფასი, რაც აჩვენებს, რომ უნივერსიტეტს აქვს ძალა დადგეს სტუდენტებისთვის ნებისმიერ სიტუაციაში.***

უნივერსიტეტი გვაძლევს უამრავ შესაძლებლობას, ჩავრთოთ ჩვენი თავი სამედიცინო სფეროებში. ძალიან კარგია აქ სწავლა, რადგან ყველა მასწავლებელი ძალიან კეთილი და პროფესიონალია. ისინი არ ყოყმანობენ ჩვენ ყოველ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს. ***ასევე მინდა აღვნიშნო დოქტორი გიგა. მას ვეხმარებით ოპერაციების ჩატარებაში და მან მოგვცა ბევრი ცოდნა იმის შესახებ, რომ ეს ძალიან სასარგებლოა ჩვენთვის.***

ჩვენ გვიყვარს ეს უნივერსიტეტი, რადგან მან მოგვცა ხედვა სათანადო ხელმძღვანელობით და ბევრი ცოდნა, რომელიც არა მხოლოდ დახმარება არის სამედიცინო სფეროში, არამედ მთელი ცხოვრება. მადლობა ამისთვის..!

	დეკანი ძალიან მხარდამჭერი და კეთილია. პროფესორები ძალიან კეთილგანწყობილნი არიან და შთაგვაგონებენ მეტი სწავლისთვის. ამ ონლაინ განათლების სისტემაში ყველას ესმის ჩვენი მდგომარეობა და გვეხმარება ყველა პრობლემის გადაწყვეტაში. ***ანა ტოპო ანატომიის მამი და ვაშაკიძე ლალი ნევროლოგიის მამი...ეს*** *პროფესორები ძალიან მოტივაციას მაძლევს კურსის განმავლობაში* *რაც შეეხება სისუსტეებს სტუდენტები წერენ:* *ჩემი აზრით, სისუსტეები მხოლოდ ნექსუსს ეხება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მომავალში კარგი იქნება, რადგან ის ახლახან დაიწყო ახალ ონლაინ პლატფორმაზე. პორტალზე წვდომა მარტივია, მაგრამ ზოგჯერ მას აქვს პრობლემები, რომლებიც უნდა გადავჭრათ პერსონალთან დარეკვით ან შეტყობინების გაგზავნით. .მაგრამ კარგი ის არის, რომ ეს არის ერთადერთი უნივერსიტეტი, რომელიც დროულად იღებს ზარებს და წერილებს და აგვარებს ამ პრობლემას და რაც საუკეთესოს იძლევა. ასე რომ, სისუსტეები მომავალში ამ უნივერსიტეტს გააძლიერებს..!* *უნივერსიტეტმა უნდა მოაწყოს ყოველკვირეული სემინარები, დებატები, დისკუსია ოფლაინ ან ონლაინ მათი მოხერხებულობის მიხედვით, რათა სტუდენტებმა ჩაერთონ დამატებით სასწავლო აქტივობებში.* *უნივერსიტეტი პირადად ჩემთვის ძალიან კარგი იყო, უნივერსიტეტზე არაეთიკური რამის თქმა არ იქნება მართებული მხოლოდ რომელიმე პროფესორის დაბალეფექტურობის გამო, მაგრამ მაინც საჭიროა კონკრეტული პროფესორის შეცვლა კონკრეტულ კურსზე ცოდნის უკეთ მიწოდებისთვის.* *მინდა გირჩიოთ, გთხოვთ, მოაწყოთ რამდენიმე ღონისძიება, თუ ეს შესაძლებელია, რადგან ამ*

	პანდემიურ სიტუაციაში ყველა ხშირად არის სახლში. ზოგიერთი თამაში, ზოგიერთი პროგრამა, რომელშიც სტუდენტები ჩაერთვებიან გარკვეული დროის განმავლობაში. *კარგი იქნება, თუ საგამოცდო განრიგი აიტვირთება ნექსუსზე ყოველი საგნისთვის გამოცდების დაწყებამდე კვირით ადრე. კარგი იქნება, თუ Google meet პლატფორმაზე ჩატარებული ლექციები და ლექციების ჩანაწერები აიტვირთება ნექსუსზე, რათა კვლავ გამოვიყენოთ სწავლისთვის.* *კარგი იქნება იყოს სასტიპენდიო პროგრამები და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები იყოს უცხოელი სტუდენტებისთვის.* *თუ სტუდენტები რაიმეს უჩივიან ნიშნების პრობლემასთან დაკავშირებით, ან რაიმე სხვა რამეზე, ჩვენთვის ნამდვილად საშინელებაა. გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი საჩივრები* *ჩემი აზრით, სისუსტეები მხოლოდ ნექსუსს ეხება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მომავალში კარგი იქნება, რადგან ის ახლახან დაიწყო ახალ ონლაინ პლატფორმაზე. პორტალზე წვდომა მარტივია, მაგრამ ზოგჯერ მას აქვს პრობლემები, რომლებიც უნდა გადავჭრათ პერსონალთან დარეკვით ან შეტყობინების გაგზავნით. .მაგრამ კარგი ის არის, რომ ეს არის ერთადერთი უნივერსიტეტი, რომელიც დროულად იღებს ზარებს და წერილებს და აგვარებს ამ პრობლემას და რაც საუკეთესოს იძლევა. ასე რომ, სისუსტეები მომავალში ამ უნივერსიტეტს გააძლიერებს..!* ამ ციტატებიდან ნათლად იკვეთება, რომ სტუდენტების მოსაზრებები, ზოგჯერ, წინააღმდეგობრივია - თუ ერთი გამოთქვამს უკმაყოფილებას ადმინისტრაციის მხრიდან რეაგირების ნაკლებობაზე - მეორე პირიქით, წერს, რომ *ეს არის ერთადერთი უნივერსიტეტი, რომელიც*

	დროულად იღებს ზარებს და წერილებს და აგვარებს ამ პრობლემას... **რეკომენდაცია:** 1. გასათვალისწინებელია მოსაზრება სტუდენტთა მოტივაციური დეფიციტის შესახებ და მიზანშეწონილად ჩაითვალოს შემუშავდეს სპეც სემინარის კურსი. 2. ეთხოვოს სტუდენტურ თვითმმართველობას გააქტიუროს არასააუდიტორიო აქტივობები პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გათვალისწინებით. 3. მიზანშეწონილია სტუდენტთა გამოკითხვაში დასახელებული ლექტორების წახალისება ადმინისტრაციული წესით. ესენია - გიგა ყულიაშვილი (ოტორინოლარინგოლოგია), ანა ლოლიშვილი (ანატომია, ტოპანატომია), ლალი ვაშაკიძე (ნევროლოგია)
რა მხარდაჭერის აუცილებლობა იკვეთება უნივერსიტეტის მხრიდან (სასწავლო კურსის მითითებით)	თვითშეფასებამ ცხადყო, რომ პერსონალი კრიტიკულად უდგება თავის საქმიანობას და ითხოვს ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით და სასწავლო რესურსების სისტემატურ განვითარებას. პროფესორი ანა არჩვაძე (კლინიკური, რაციონალური და ბაზისური ფარმაკოლოგია) ითხოვს ვიდეო მასალის მოძიებაში დახმარებას ქეისების განსახილველად. **რეკომენდაცია:** 1. გასათვალისწინებელია, რომ ტრენინგების ჩატარება დაგეგმილია 2022 წლის თებერვალში. 2. ეთხოვოს ბიბლიოთეკას და საინფორმაციო კომპიუტერულ ცენტრს მოიძიოს კლინიკური რაციონალური და ბაზისური ფარმაკოლოგიის დისციპლინისთვის შესაბამისი ვიდეო მასალა.

რა სახის ცვლილებების შეტანა ივარაუდება საგანმანათლებლო პროგრამაში/სილაბუსში (ცვლილებებისა და სასწავლო კურსის/პერსონალის მითითებით. შედარება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებთან)	პროფესორი ანა არჩვაძე (კლინიკური, რაციონალური და ბაზისური ფარმაკოლოგია) ქეისების ანალიზის ინტენსივობის გაზრდა. ბერიშვილი ზაზა (რევმატოლოგია) კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებული საკითხების დამატება. ბერიშვილი ზაზა (პრევენციული მედიცინა) კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებული საკითხების დამატება. გაბუნია ფატი (ინფექციური სნეულებანი 1 – 2) შეფასების მეთოდებში ცვლილებები გაურაშვილი ანა (ნევროლოგია 1) სილაბუსის თემატიკაში მცირე ცვლილება. გორდელაძე ალექსანდრე (ზოგადი ქირურგია 1-2) სილაბუსის თამატიკაა და შეფასების მეთოდებში მცირე ცვლილება. ვაშაკიძე ლალი (ნევროლოგია) კლინიკურ პრაქტიკაში ნოზოლოგიის მართვის საკითხების სწავლებაზე კონცენტრირება. კერვალიშვილი პაატა (სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა) სილაბუსის თემატიკაში მცირე ცვლილებები. მთვარელიძე თათია (პროფესიული ლათინური) საკონტაქტო საათების გაზრდა. პავლიაშვილი ნინო(სამეცნიერო კვლევა 1 – 3) თემატიკისა და სწავლების მეთოდების/აქტივობების კორექტირება. რაჭველიშვილი ნინო (სამედიცინო ფსიქოლოგია, ქცევათმეცნიერება) სწავლების მეთოდების/აქტივობების კორექტირება. ფიფია ნინო (ონკოლოგია) შეფასების მეთოდის ადაპტირება პანდემიურ მდგომარეობასთან.

	ყულიაშვილი გაგა (ოტორინოლარინგოლოგია) სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების მცირე კორექტირება. ხაჩიძე ირმა (ნეირომეცნიერება) შეფასების პროცენტული გადანაწილება. **რეკომენდაცია:** 1. მიზანშეწონილა განხორციელდეს ცვლილებები აღნიშნულ სილაბუსებში და განხილულ იქნას კომიტეტის სხდომაზე.